# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 184

"5" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, გრიგოლ ორბელიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის გრიგოლ ოშკელის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილებისა და "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის N 6-17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის დამტკიცებული დანართი N2-ის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, გრიგოლ ორბელიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს საქართველოს ეკლესიის მწიგნობარ გრიგოლ ოშკელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


X_485761.76
Y_ 4629699.59
გრიგოლ ორბელიანის ქუჩა
X_485641.5413
Y_ 4629388.0353
X_485507.7051
Y_ 4629426.0128
I შესახვევი
გრიგოლ ფერაძის ქუჩა
X_485259.4924
Y_ 4629379.3877